შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-7

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 8

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 9

კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 10

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 11

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა 16
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 16
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 26
4. ძირითადი საშუალებები 28
5. მარაგები 29
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 29
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 29
8. სესხები 30
9. შემოსავალი 30
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 30
11. ადმინისტრაციული ხარჯები 31
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31
13. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 32
14. ფინანსური რისკის მართვა 32
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 36

გორგასლის ქ.18

+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი **შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“** (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე ინდივისუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალური ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის აუდიტის პროცესში ჩვენ მოვითხოვეთ ნაშთის დასტურის აქტი სალაროს ნაშთზე, და ძირითადი საშუალების გადაფასების გაანგარიშების აქტები, რისი მოწოდებაც კომპანიამ ვერ მოახდინა. ასევე ვერ მოვახდინეთ მოკლევადიანი ვალდებულების სიწორის დადგენა. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ინდივიდულური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში. „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ

ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და

აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიაში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ინდივდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დავით ფხაკაძე.

შპს „დალაუდი“ - ს სახელით
2024 წლის 30 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

გორგასლის ქ.18
+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

DALAUDI.

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიაში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დავით ფხაკაძე.

შპს „დალაუდი“ - ს სახელით
2024 წლის 30 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

გორგასლის ქ.18
+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	შენიშვნა	2023-12-31	2022-12-31
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	6 919 515	4 901 496
საინვესტიციო ქონება			-
გუდვილი		-	3 072 865
მიწა	5	306 713	306 713
არამატერიალური აქტივები			-
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**7 226 228**	**8 281 073**
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		37 290	113 685
გადახდილი ავანსები	7	603 868	181 482
მარაგები	6	1 391 439	1 450 762
გადახდილი ხელფასები			-
სავაჭრო მოთხოვნები	7	1 308 656	1 684 821
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1 900	1 880
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	13 156	104 153
სულ მიმდინარე აქტივები		**3 356 309**	**3 536 782**
სულ აქტივები		**10 582 537**	**11 817 855**
კაპიტალი			
სხვა რეზერვები და დაფინანსება	15	-3 072 865	-
საწესდებო კაპიტალი		20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება		1 311 595	2 248 818
სულ კაპიტალი		**-1 741 269**	**2 268 818**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	9	10 102 058	7 970 256
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**10 102 058**	**7 970 256**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	9	103 550	96 000
სავაჭრო ვალდებულებები	13	871 363	647 533
გადასახდელი ხელფასები		804 979	720 733
მიღებული ავანსები	13	1 237	-
გადასახდელი პროცენტები	9	1 178	5 590
საგადასახადო ვალდებულება		439 441	108 926
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 221 748**	**1 578 781**
სულ ვალდებულებები		**12 323 807**	**9 549 037**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10 582 537**	**11 817 855**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	შენიშვნა	2023-12-31	2022-12-31
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		6 919 515	4 901 496
საინვესტიციო ქონება			-
გუდვილი		-	3 072 865
მიწა		306 713	306 713
არამატერიალური აქტივები			-
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**7 226 228**	**8 281 073**
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		37 290	113 685
გადახდილი ავანსები		603 868	181 482
მარაგები		1 391 439	1 450 762
გადახდილი ხელფასები			-
სავაჭრო მოთხოვნები		1 308 656	1 684 821
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1 900	1 880
ფული და ფულის ეკვივალენტები		13 156	104 153
სულ მიმდინარე აქტივები		**3 356 309**	**3 536 782**
სულ აქტივები		**10 582 537**	**11 817 855**
კაპიტალი			
სხვა რეზერვები და დაფინანსება		-3 072 865	-
საწესდებო კაპიტალი		20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება		1 311 595	2 248 818
სულ კაპიტალი		**-1 741 269**	**2 268 818**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		10 102 058	7 970 256
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**10 102 058**	**7 970 256**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი		103 550	96 000
სავაჭრო ვალდებულებები		871 363	647 533
გადასახდელი ხელფასები		804 979	720 733
მიღებული ავანსები		1 237	-
გადასახდელი პროცენტები		1 178	5 590
საგადასახადო ვალდებულება		439 441	108 926
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 221 748**	**1 578 781**
სულ ვალდებულებები		**12 323 806**	**9 549 037**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10 582 537**	**11 817 855**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

Levan Chkhetiani 10001002378
Digitally signed by Levan Chkhetiani
Date: 2025.01.24 16:43:31

DALAUDI.
გორგასლის ქ.18
+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
სრული შემოსავლის ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	შენიშვნა	2023-12-31	2022-12-31
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	5 969 022	6 597 685
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	11	-1 489 563	-1 832 645
მოგება რეალიზაციიდან		**4 479 459**	**4 765 040**
რეალიზაციის ხარჯები			0
ადმინისტრაციის ხარჯები	12	-356 921	-371 072
საოპერაციო ხარჯები			0
ხელფასის ხარჯი		-3 857 855	-3 425 639
ცვეთის ხარჯი	5	-340 459	-324 014
დებიტორული დავალიანების რეზერვი		-89 359	-78 516
სხვა საოპერაციო შემოსავალი		127 355	259 352
საოპერაციო მოგება		**-37 780**	**825 153**
არასაოპერაციო შემოსავალი			0
მიღებული დივიდენდი			0
საპროცენტო ხარჯი	9	-871 762	-652 886
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	14	59 006	1 013 301
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			-42 746
ძირითადი საშუალების რელიზაცია	5		2 608
მოგება დაბეგვრამდე		**-850 535**	**1 145 430**
მოგების გადასახადი		-13 003	-104 768
წლის მოგება		**-863 538**	**1 040 661**
სხვა სრული შემოსავალი			0
წლის სრული სრული შემოსავალი		**-863 538**	**1 040 661**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
სრული შემოსავლის ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	შენიშვნა	2023-12-31
შემოსავალი რეალიზაციიდან		5 969 022
გაყიდული მარაგების თვითღირებულება		-1 489 563
მოგება რეალიზაციიდან		**4 479 459**
რეალიზაციის ხარჯები		
ადმინისტრაციის ხარჯები		-356 921
საოპერაციო ხარჯები		
ხელფასის ხარჯი		-3 857 855
ცვეთის ხარჯი		-340 459
დებიტორული დავალიანების რეზერვი		-89 359
სხვა საოპერაციო შემოსავალი		127 355
საოპერაციო მოგება		**-37 780**
არასაოპერაციო შემოსავალი		
მიღებული დივიდენდი		
საპროცენტო ხარჯი		-871 762
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		59 006
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
ძირითადი საშუალების რელიზაცია		
მოგება დაბეგვრამდე		**-850 536**
მოგების გადასახადი		-13 003
წლის მოგება		**-863 538**
სხვა სრული შემოსავალი		
წლის სრული შემოსავალი		**-863 538**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

Levan Chkhetiani 10001002378

Digitally signed by Levan Chkhetiani
Date: 2025.03.31 14:11:47

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
კაპიტალის მოძრაობის უწყისი ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საკუთარი კაპითალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბერს		20 000	-	1 801 841	**1 821 841**
დივიდენდის გაცემა				-593 684	**- 593 684**
წმინდა მოგება				1 040 661	**1 040 661**
სსხვა ცვლილება					**-**
კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბერს		20 000	-	2 248 818	**2 268 818**
დივიდენდის გაცემა				-73 684	**- 73 684**
წმინდა მოგება				-863 538	**- 863 538**
სსხვა ცვლილება	15		-3 072 865		**-3 072 865**
კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბერს		20 000	- 3 072 865	1 311 595	**-1 741 269**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნომებერი

_____

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
კაპიტალის მოძრაობის უწყისი ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საკუთარი კაპითალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბერს		20 000	-	2 248 818	**2 268 818**
დივიდენდის გაცემა				-73 684	**- 73 684**
წმინდა მოგება				-863 538	**- 863 538**
სსხვა ცვლილება			-3 072 865		**-3 072 865**
კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბერს		20 000	- 3 072 865	1 311 595	**-1 741 269**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნომებერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

Levan Chkhetiani 10001002378

Digitally signed by Levan Chkhetiani
Date: 2024.12.28 17:21:15

	შენიშვნა	2023-12-31	2022-12-31
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაგებვრამდე		-850 535	1 145 430
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	340 459	324 014
უიმედო მოთხოვნის ხარჯი			
ძირითადი საშულების გაყიდვით მიღებული მოგება	5	0	-2 608
საპროცენტო ხარჯი	9	871 762	652 886
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	14	-59 006	-1 013 301
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		**302 679**	**1 106 420**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	7	376 165	330 729
გაცემული ავანსების ცვლილება	7	-422 386	136 186
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება	6	59 322	-1 153 116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	13	223 830	148 410
გადახდილი გადახასადები		406 910	72 585
მიღებული ავანსების ცვლილება	13	-1 237	0
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში			
მოგების გადასახადი		-13 003	-104 768
გადახდილი პროცენტი	9	-871 762	-647 296
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	7	-20	985
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში		84 247	139 587
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**-157 933**	**-1 076 698**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების ყიდვა/ გაყიდვით მიღებული და გადახდილი თანხები	5	-2 358 478	-1 522 190
ცვლილებები გრძელვადიან აქტივში - მიწა			
ინვენტიციის განხორციელება			
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**-2 358 478**	**-1 522 190**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება/გადახდა	9	2 206 350	1 583 429
განაწილებული დივიდენდი		-73 684	-593 684
საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)			
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**2 132 666**	**989 744**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე	14	-9 930	-6 971
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა. ზრდა / (შემცირება)		**-90 997**	**-509 695**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8	104 153	613 848
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	8	13 156	104 153

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა
ფულადი ნაკადების უწყისი ეროვნულ ვალუტაში
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023-12-31
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაგებვრამდე		-850 535
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		340 459
უიმედო მოთხოვნის ხარჯი		
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება		0
საპროცენტო ხარჯი		871 762
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		-59 006
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		**302 679**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		376 165
გაცემული ავანსების ცვლილება		-422 386
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		59 322
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		223 830
გადახდილი გადახასადები		406 910
მიღებული ავანსების ცვლილება		-1 237
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში		
მოგების გადასახადი		-13 003
გადახდილი პროცენტი		-871 762
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		-20
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში		84 247
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**-157 933**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ყიდვა/ გაყიდვით მიღებული და გადახდილი თანხები		-2 358 478
ცვლილებები გრძელვადიან აქტივში - მიწა		
ინვენტიციის განხორციელება		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**-2 358 478**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება/გადახდა		2 206 350
განაწილებული დივიდენდი		-73 684
საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)		
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**2 132 666**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		-9 930
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა. ზრდა / (შემცირება)		**-90 997**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		104 153
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		13 156

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2024 წლის 28 ნოემბერი

დირექტორი: ლევან ჩხეტიანი

Levan Chkhetiani 10001002378
Digitally signed by Levan Chkhetiani
Date: 2024.12.28 17:20:33

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა 1995 წლის 25 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება, კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირები არიან გია სანიკიძე (პ/ნ 10001009525) და ლევან ჩხეტიანი (პ/ნ 10001002378).

კომპანიას ბოლნისის მასშტაბით და მის მოსაზღვრე რაიონებში მრავალ პროფილურ კლინიკას წარმოადგენს. სამედიცინო მომსახურება ძირითადად მოიცავს რეანიმაციას, ქირურგიას, კარდიოლოგიას, კომპიუტერული ტომოგრაფიას და ენდოკრონოლოგიას.

კომპანიის მფლობელები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი.	31 დეკემბერი 2023
გია სანიკიძე (პ/ნ 10001002378)	50 %
დარეჯან ჩხეტიანი (პ/ნ 10001013999)	50 %

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბოლნისის რაიონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, #25.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიას ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

შემოსავლის აღიარება

კომპანია ამონაგებს აღიარებს, როგორც კი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი/მომსხურება გადაცემულად მიიჩნევა როგორც კი მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთა გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების / ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს კლებადი ნაშთის მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას და დაგროვილ ცვეთის შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	ნარჩენი ღირებულება/ისტორიული ღირებულება
შენობა-ნაგებობა	20	0%
სატრანსპორტო საშუალებები	5	0%
ოფისის აღჭურვილობა	5	0%
ავეჯი და ინვენტარი	5	0%
სხვა	5	0%
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება	0%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა

აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით.

პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე

შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

კომპანია, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეაფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში: ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა

დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულდება

- ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება. ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია

აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად. სასაქონლო მატერიალური მარაგები მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც კომპანია იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით,

გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგმარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	**306 713**	**1 359 825**	**2 825 397**	**1 765 994**	**16 800**	**122 377**	**342 116**	**-**	**6 739 221**
შემოსვლა	-	-	1 357 474	941 438	-	15 350	44 217	-	**2 358 479**
გასვლა									**6 979**
31 დეკემბერი 2023	**306 713**	**1 359 825**	**4 182 871**	**2 707 432**	**16 800**	**137 727**	**386 333**	**-**	**9 097 700**
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2022	**-**	**301 041**	**-**	**979 425**	**5 643**	**39 821**	**205 084**	**-**	**1 531 013**
ცვეთის ხარჯი	-	52 939	-	234 747	953	17 755	34 064	-	**340 458**
გასული აქტივის ცვეთა									
31 დეკემბერი 2023	**-**	**353 980**	**-**	**1 214 172**	**6 596**	**57 576**	**239 148**	**-**	**1 871 471**
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2022	306 713	1 058 784	2 825 397	786 569	11 157	82 556	137 032	-	**5 208 208**
31 დეკემბერი 2023	306 713	1 005 845	4 182 871	1 493 260	10 204	80 151	147 185	-	**7 226 229**

5. მარაგები

მარაგები 2023, და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

მარაგები	**2023-12-31**	**2022-12-31**
საქონელი	-	-
ნედლეული და მასალები	24 651	35 270
შუალედური ანგარიში	1 314 396	1 349 879
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	52 392	65 612
სულ მარაგები	**1 391 439**	**1 450 762**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2023-12-31**	**2022-12-31**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 308 656	1 684 821
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 900	1 880
გადახდილი ვანსები	603 868	181 482
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1 914 424**	**1 868 182**

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 da 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ფული და ფულის ეკვივალენტები	**2023-12-31**	**2022-12-31**
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	535	2 448
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12 621	63 877
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	37 828
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**13 156**	**613 848**

8. სესხები

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

მიღებული სესხები	**2022-12-31**
საწყისი ნაშთი	**8 066 256**
პროცენტის გადახდა	876 173
პროცენტის ხარჯი	871 762
სესხის დაფარვა	176 500
სესხის მიღება	2 382 850
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი/(ხარჯი)	66 998
საბოლოო ნაშთი	**10 205 608**

9. შემოსავალი

შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

შემოსავალი	**2023-12-31**
შემოსავალი მომსახურებიდან და საქონლის რეალიზაციიდან	5 969 022
არა ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	127 355
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	
სულ	**6 096 377**

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**2023-12-31**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1 489 563
საქონლის დაბრუნება	0
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**1 489 563**

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციის ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ადმინისტრაციის ხარჯები	**2023-12-31**
მომსახურების ხარჯი	44 697
კონსულტაციის ხარჯები	30
კომუნალური ხარჯი	213 490
საწვავის ხარჯი	17 918
შეკეთების ხარჯი	80 786
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**356 921**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2022-12-31**	**2021-12-31**
სავაჭრო ვალდებულებები	871 363	647 533
სხვა ვალდებულება	1 237	-
მიღებული ავანსი	-	-
	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულები	**872 600**	**647 533**

13. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

2022 წლის საკურსო სხვაობა	**შემოსავალი**	**ხარჯი**	**ნეტო**
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	**-**
ფული და ფულის ეკვივალენტები	924	8 904	**-7 980**
სავაჭრო ვალდებულებები		-	**-**
სესხის მიმდინარე ნაწილი	66 986	-	**66 986**
სულ წლის საკურსო სხვაობა	**67 910**	**8 904**	**59 006**

14. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის

ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

15. გუდვილი

გუდვილის გადაანგარიშება მოხდა რის საფუძველზეც არსებული ნაშთი უნდა ჩამოწერილიყო წინა წლებში 2023 წლის ფინანურ ანგარიშგებაში განისაზღვრა როგორც წინა წლების კორექტირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ფინანსური აქტივები	**2023-12-31**	**2022-12-31**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1 310 556**	**1 686 701**
ფული და ფულის ეკვივალენტები	**13 156**	**104 153**
სულ ფინანსური აქტივები	**1 323 712**	**1 790 854**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1 676 342**	**1 368 265**
სესხები	**10 205 598**	**8 066 256**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**11 881 940**	**9 434 521**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია

კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ მოვლენებს.

გორგასლის ქ.18
+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

DALAUDI.

გორგასლის ქ.18

+995 599354005 info@dalaudi.ge dalaudi.ge

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

ზოგადი მიმოხილვა

საქართველო, ქალაქი ბოლნისი.

2023 წელი

სარჩევი

1. მოკლე შინაარსი
2. კომპანია და მისი პროდუქცია (მომსახურება)
3. ბაზრის გამოკვლევა და ანალიზი
4. Covid-19-ეფექტი კლინიკაზე
5. მარკეტინგის გეგმა
6. წარმოების გეგმა
7. მმართველთა გუნდი
8. კომპანიის განვითარების გეგმა
9. რისკის შეფასება

1. მოკლე შინაარსი

იურიდიული პირის დასახელება: შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“
საიდენტიფიკაციო კოდი: 225368330
რეგისტრაციის თარიღი: 1995 წელი
მისამართი: ქ.ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #25
პროექტის განხორციელების ადგილი: ქ.ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #25
ტელეფონის ნომერი: 599 532042; 599 504438; 599 550161
ელ. ფოსტა: Bolnisimh@yahoo.com / bolnisimh@gmail.com
დამფუძნებლები: დარეჯან ჩხეტიანი 50% - 599504438
გია სანიკიძე 50% - 599532042

დირექტორები: ლევან ჩხეტიანი; გია სანიკიძე.

კომპანია დაარსდა 1995 წლის 26 სექტემბერს, სახელწოდებით: შპს ,,კელაპტარი“ (ს/კ 225368330), კლინიკა გახლდათ მხოლოდ სამშობიარო პროფილის. 2007 წლის 29 ივნისს კომპანიამ შეისყიდა შპს ბოლნისის რაიონის სამშობიარო სახლი (ს/კ 225363380), რის შემდეგაც მოხდა რეორგანიზაციაში მონაწილე საწარმოს დამფუძნებელთა 20 ივნისის (პარტნიორთა) კრების (ოქმი N3) გადაწყვეტილების საფუძველზე შერწმის რეგისტრაცია, შპს ,,ბოლნისის სამშობიარო სახლი“ შეერწყა (მიერთების გზით) შპს ,,კელაპტარს“ და მიიღო საფირმო სახელწოდება: შპს ,,ბოლნისის სამშობიარო სახლი“ (ს/კ 225368330), შერწყმის შედეგად შპს ,,სამშობიარო სახლი“ გამოცხადდა შპს ,,ბოლნისის რაიონის სამშობიარო სახლისა და შპს ,, კელაპტრის“ უფლებამონაცვლე. 2015 წლის 25 აგვისტოს კომპანია გახდა ზოგადი პროფილის მქონე კლინიკა და მოხდა საფირმო სახელწოდების ცვლილება: შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ (ს/კ 225368330), ხოლო 2018 წლის 05 მარტს მოხდა შპს ,,ბოლნისი 2014“ -ის და შპს ,,აქსა მედიქალ“-ის შესყიდვა-შერწყა. ორი კომპანიის უფლებამონაცვლე გახდა შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“. ამ წლების მანძილზე მოხდა კომპანიის ზრდა-განვითარება.

კომპანიის დაარსების დღიდან მისი ძირითადი საქმიანობა არის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება.თავდაპირველად კომპანიაში დასაქმებული იყო 40 თანამშრომელი, ამჟამად არის 227; კომპანიის წლიური შემოსავალი 600 000 ლარიდან გაიზარდა 9 452 204 ლარამდე: წლიური სახელფასო ფონდი 300 000 ლარიდან გაიზარდა 3 260 000 ლარამდე. რაც მიუთითებს კომპანიის ყოველწლიურად მზარდ დადებით დინამიკაზე. დღეისათვის კლინიკა ფუნქციონირებს 3 სართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართია 1895 $მ^2$. საწოლფონდი წარმოდგენილია 63 საწოლით. კლინიკა არის ზოგადი პროფილის: ემერჯენსი, რეანიმაცია, ინტენსიური თერაპია (მოზრდილთა და ბავშვთა) , სამშობიარო, ქირურგია (ზოგადი ქირურგია, უროლოგია, ტრავმატოლოგია, ინგიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, გინეკოლოგია), თერაპია (ნერვული, კარდიოლოგია, გასტროენცელოროგია, შინაგანი მედიცინა,ენდოკრინოლოგია).

ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები მთავარ კორპუსში 4 სართული + სარდაფის სართული, საერთო ფართი 5800 $მ^2$. რემონტი დამთავრების სტადიაშია; დასრულებულია წყალმომარაგების, სანტექნიკა-კანალიზაციის, გათბობა-გაგრილების, ვენტილაციის, ხანძარქრობის და სახანძრო ვენტილაციის, სუსტი დენების, კავშირგაბმულობის, სამედიცინო აირების გაყვანილობის და დანადგარების მონტაჟი. მომწოდებელი ენერგოკომპანიიდან შესყიდულია 1000 kva დენის სიმძლავრე. უკვე ადგილზე გვაქვს შესაბამისი სიმძლავრის (1000 kva) დიზელგენერატორი და დენის რეგულატორი-სტაბილიზატორი, უწყვეტი დენის წყარო (UPS) 5 კომპლექტი 560 kva სიმძლავრის სამედიცინო აპარატურისათვის და დანადგარებისათვის, როგორიცაა კომპიუტერული ტომოგრაფი, რენტგენის აპარატი, ჟანგბადის ქარხანა. დარჩენილია ძირითადად სამონტაჟო სამუშაოები, ჭერების და იატაკის მოპირკეთება, შიდაკარებები. სარემონტო სამუშაოების დამთავრება დაგეგმილია 2024 წლის თებერვლის თვეში. გარემონტებულ ფართში განთავსდება მთლიანი კლინიკა. გაზრდილი იქნება საწოლფონდი. მრავალპროფილური კლინიკა გაშლილი იქნება 110 საწოლზე. წარმოდგენილი იქნება დღეს არსებული სამედიცინო საქმიანობები გაზრდილი საწოლფონდით: ემერჯენსი, რეანიმაცია, ქირურგია, პედიატრია, დაემატება ახალი მიმართულებები: ონკოლოგია, ნეიროქირურგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, მაგნიტურ რეზონანსური ტომოგრაფია, დიალიზი (ხელოვნური თირკმლის განყოფილება). ანგიოგრაფის მეშვეობით გაფართოვდება ანგიოქირურგიული ოპერაციების სპექტრი. ახალი კლინიკის გაშვების შემდეგ გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი ყველა ასპექტის გათვალისწინებით თანამედროვე აპარატურული ხელმისაწვდომობით, სერვისის ჩათვლთ. საწოლფონდის გაზრდის შემდეგ მინიმუმ 2-ჯერ გაიზრდება კომპანიის საერთო შემოსავლები.

რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში - ბოლნისი, დმანისი და თეთღიწყარო იქნება ერთადერთი მრავალპროფილური საავადმყოფო, რომელსაც ექნება ყველა სამედიცინო სერვისი. კლინიკის მმართველობითი გუნდის კომპეტენციაზე მეტყველებს კომპაანის ყოველწლიური დადებითი ფინანსური მდგომარეობა.

2. კომპანია და მისი პროდუქცია (მომსახურება).

27 წლის წინ, როცა შეიქმნა ჩვენი კომპანია (კლინიკა), ემსახურებოდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რადგან მოსაზღვრე რაიონებშიც იყო მსგავსი საბაზისო კლინიკები, სადაც ანალოგიურ სამედიცინო სერვისებს სთავაზობდნენ პაციენტებს, მაგრამ ჩვენს კლინიკაში დარგების განვითარების და სამედიცინო დახმარების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების შემდეგ (რეანიმაცია, ქირურგია, კარდიოლოგია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ენდოკრონოლოგია) მოიმატა პაციენტების ნაკადმა მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან. დაარსების დღიდან ყოველწლიურად სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესების გზით მნიშვნელოვნად იზრდება პაციენტთა რაოდენობა, რომელიც პირდაპირ აისახა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე (შემოსავლები დაარსებიდან დღემდე 15.6 -ჯერ გაიზარდა), ჩვენს კლინიკაში ყოველდღიურად ხვდება პაციენტები მეზობელი რაიონებიდან რეფერალური დახმარების გზით რომელსაც ახორციელებს ოფიციალურად ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სამსახური, რადგან

სამინისტრომ ზუსტად იცის, რომ აღნიშნული დაავადების მართვა შეუძლია ჩვენს კლინიკას. კომპანია მომსახურებას უწევს სსიპ ჯანდაცვის ეროვნული სააგენტოს დაზღვეულებს, ბაზარზე არსებული ყველა კერძო მზღვეველს: (ჯიპიაი, იმედი ელ, პსპ ფარმა, არდი, ირაო.... მუნიციპალიტეტებს და ასევე შიდა სტანდარტით რეზიდენტ და არარეზიდენტ პაციენტებს. კლინიკა ჩართულია გეგმიური ამბოლატორიის მომსახურებაში (პოლიკლინიკა), რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში დაზღვეულ ფიზიკურ პირებს. ყოველი თვის შესრულება სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო კომპანიების დასამუშავებლად გადაეცემა თვის 15 რიცხვიდან თვის ბოლომდე.

3. ბაზრის გამოკვლევა და ანალიზი

საქართველოში სამედიცინო ინდუსტრიის დინამიკური განვითარება განაპირობებს კონკრეტული გარემოს შექმნას.

ბოლნისის მოსახლეობა: 5 590 კაცი
დნამისის მოსახლეობა: 29 185 კაცი
თეთრიწყაროს მოსახლეობა: 21 127 კაცი
სულ: 105902 კაცი.

განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტენდენციის გამო (მიგრაცია ქალაქში,ემიგრაცია საზღვარგარეთ) აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შუახნის ასაკისაა, რომელთაც აქვს ამ ასაკისათვის დამახასიათებელი განვითარების რისკები, როგორიცაა: გულსისძარღვთა, ნერვული, კარდიოვასკულკარული, ქირურგიული დაავადებები და ა.შ. შესაბამისად კლინიკის ძირითადი და წამყვანი მიმართულებები არის და იქნება " ემერჯენსი, რეანიმაცია, კარდიოლოგია, ქირურგია, თერაპია... ბოლნისის მრავალპროფილური კლინიკა აკმაყოფილებს და სარემონტო სამუშაოების დასრულოების შემდგომ დააკმაყოფილებს ამ სამი მუნიციპალიტეტის პაციენტთა მოთხოვნებს და სრულად და საკმაოდ მნიშვნელოვნად მარნეულის მოსახლეობას. ჩვენი კლინიკის მიმზიდველობა არის კლინიკის ტექნიკური აღჭურვილობა და სამედიცინო კადრების პროფესიონალიზმი, პაციენტების მიმართ მაღალი კომუკიკაციის უნარი, კეთილგანწყობა დისციპლინა და პასუხისმგებლობა.

4. COVID-19-ის ეფექტი კლინიკაზე

კოვიდ-19-თან ბრძოლაში კლინიკამ დიდი წვლილი შეიტანა, აქტიურად ჩაერთო და სრულად მობილიზდა 2020 წლის მარტის თვეში და შექმნა კოვიდ-19 რეაგირების ეფექტური გეგმა, გამოÉყო საწოლფონდი დაავადებული პაციენტებისათვის, დაიწყო მასშტაბური ტესტირება, სრულად მობილიზებული მედპერსონალით და მკურნალობის გაუმჯობესებული რეჟიმით ებრძოდა კლინიკა და მედპერსონალი პანდემიას. კლინიკა ხელმძღვანელობდა იმ პროტოკოლით, რა პროტოკოლითაც ხელმძღვანელობდნენ წამყვანი ქვეყნები. მნიშვნელოვანია, რომ შეუფერხებლად გაგრძელდა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის სტანდარტული მომსახურების მიწოდება. პანდემიის ზრდადი

დინამიკის პარალელურად, კლინიკამ განახორციელა სამედიცინო პერსონალის მობილიზებისა და გადამზადების მასშტაბური პროცესი, ასევე მოხდა საწოლფონდის გაზრდა COVID-19-ის პაციენტებისათვის და კლინიკა მობილიზებული იყო 2022 წლის 15 მარტის ჩთვლით. მიუხედავად მკურნალობის წარმატებისა, სამწუხაროდ ჩვენ გვქონდა ლეტალობის შემთხვევებიც.

5. მარკეტინგის გეგმა

კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს ჯანდაცვის სფეროში ქვეყანაში დღეს არსებულ ტარიფებს, განსაკუთრებით ახლო რეგიონების კლინიკებში. კლინიკას ყავს თავისი მუდმივი პაციენტები ამბულატორიული სერვისის სახით. დაახლოებით ბოლნისის მოსახლების 40 000 ადამიანი დაზღვეულია საყოველთაო პროგრამების ფარგლებში. ჩვენს კლინიკაში დაახლოებით 10 000 კაცი კერძო სადაზღვევოებში, რომელთა ოჯახის ექიმები ამავდროულად არიან ჩვენი კლინიკის ექიმები და პაციენტებს ღებულობენ კლინიკის ამბულატორიულ ნაწილში. არის გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისა, რომლებიც არც სახელმწიფო დაზღვევით და არც კერძო დაზღვევით არ სარგებლობენ. მაგრამ ასეთი კატეგორიაც პროცენტულად ჩვენი პაციენტია, რადგან ქვეყანაში არსებული საყოველტაო ჯანდაცვის სისტემა ქვეყნის მოსახლეობისათვის ამავდროულად ითვალისწინებს ყველა გადაუდებელი შემთხვევის დაფინანსებას. გადაუდებელი დახმარების სამსახური 112 ყველა პაციენტს, რომელსაც ესაჭიროება სტაციონარული მკურნალობა, გადმოყავს ჩვენს კლინიკაში. კომპანიას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტის სოფლის და ქალაქის ოჯახის ექიმებთან. ოფიციალურად დანიშნული გვყავს დიდ სოფლებში სამედიცინო წარმომადგენლები, რომლებიც ურთიერთობენ სოფლის ექიმებთან. ახლო და საქმიანი კავშირები გვაქვს მეზობელი მუნიციპალიტეტების ექიმებთან, რომლებიც ადგილზე ვერ უზრუნველყოფენ გარკვეული სერვისების მიწოდებას. პაციენტებს რეკომენდაციას უწევენ სამედიცინო სერვისი მიიღონ ჩვენს კლინიკაში. ახალი კლინიკის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ დაგეგმილია სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული სერიოზული სარეკლამო საქმიანობის წინ წამოწევა.

6.წარმოების გეგმა

საწარმო ციკლი სტაციონარულ ნაწილში არის 24 საათიანი უწყვეტ რეჟიმში: ემერჯენსი, რეანიმაცია, ზოგადი ქირურგია, თერაპია, ტრავმატოლოგია, ბავშვთა, ანგიოლოგია, უროლოგია, სამშობიარო. და 8 საათიანი სამუშაო დღე ამბულატორიულ ნაწილში, სადაც ხვდებიან გეგმიური პაციენტები. კლინიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იდეალურია როგორც ბოლნისის, ასევე მომიჯნავე მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის, უახლოესი მანძილი სხვა რეგიონალურ ცენტრებთან შედარებით. კლინიკის დღეს არსებული საწოლფონდი ვერ აკმაყოფილებს მოზღვავებულ პაციენტთა ნაკადს, ამიტომ სასწრაფოდ საჭიროა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება და ახალი კლინიკის ექსპლოატაციაში შესვლა.

7. მმართველთა გუნდი

დამფუძნებელი: დარეჯან ჩხეტიანი 50% წილის მფლობელი, ექიმი მეა-გინეკოლოგი.
დამფუძნებელი: გია სანიკიძე 50% - წილის მფლობელი, ექიმი ანესთ. - რეანიმატოლოგი.
დირექტორი: გია სანიკიძე (50% წილის მფლობელი)
დირექტორი: ლევან ჩხეტიანი (ექიმი მეან-გინეკოლოგი)

კლინიკური მენეჯერი:	ლევან ჩხეტიანი
ფინანსური მენეჯერი:	შალვა უშიკიშვილი
ადმინისტრაციული მენეჯერი:	მაია მენთეშაშვილი
ბუღალტრული აღრიცხვის მენეჯერი:	ნინო დევნოზაშვილი
საქმის მწარმოებელი:	დიანა მხითარიანი
შრომის უსაფრთხოების ოფიცერი:	ნიკოლოზ დევნოზაშვილი
ხარისხის მართვის მეჯერი:	მედიკო მუმლაძე

8. რისკების შეფასება

კომპანიის ფუნქციონირების 27 წლიანი ისტორიიდან და ყოველწლიურად მზარდი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მინიმალურია ხელისშემშლელი ფაქტორები კომპანიის განვითარების საქმეში.

შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკის“

დირექტორი: Levan Chkhetiani 10001002378 Digitally signed by Levan Chkhetiani Date: 2025.01.24 16:57:40 /ლევან ჩხეტიანი/